

თიბისი ბანკი ბათუმში ახალ ფილიალს ხსნის

“ვეფხისტყაოსანი” ბათუმის ყველა სკოლას

პრეს-რელიზი

18 აპრილს, 16:00 საათზე, ქ. ბათუმში, ერას ქ. №57/59 საზეიმოდ გაიხსნება თიბისი ბანკის ახალი სტანდარტების მიხედვით შექმნილი კიდევ ერთი ფილიალი. თიბისი ბანკის მენეჯმენტი ახალ ფილიალში გააკეთებს განცხადებას თიბისი ბანკის მიერ 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსის მოზიდვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, პრეზენტაციაზე თიბისი ბანკი ქალაქ ბათუმის ყველა სკოლას საჩუქრად გადასცემს “ვეფხისტყაოსნის” ახალ აკადემიურ გამოცემას, რომელიც მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით გამოსცა მედიასახლმა “კვირის პალიტრა”.

ახალი ფილიალი, რომელიც დღეს საზეიმოდ გაიხსნება, ბათუმში თიბისი ბანკის რიგით მეორე ფილიალია. ამასთან, ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ტიპის საბანკო ფილიალია, სადაც კლიენტსა და ბანკის თანამშრომელს შორის მოხსნილია ყოველგვარი ბარიერი – კლიენტების მომსახურება მოხდება გახსნილ სივრცეში და კლიენტი თავისი თვალთ დაინახავს მომსახურების პროცესს.

პირველი ასეთი ფილიალი თიბისი ბანკმა 2007 წლის დეკემბერში გახსნა, რითაც მან დაიწყო საბანკო მომსახურების სრულიად ახალი, საქართველოს საბანკო სექტორისთვის ინოვაციური ფორმების დამკვიდრება ქართულ ბაზარზე.

თიბისი ბანკის ახალი ფილიალი პირდაპირ გამოხატავს სლოგანს “ჩემ გვერდით ჩემი ბანკია” – სადაც კლიენტი და ბანკის თანამშრომელი გვერდიგვერდ დგანან და ერთად ღებულობენ გადაწყვეტილებას.

ასეთი დონის საბანკო ფილიალები დღეისთვის მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე წამყვან ბანკს აქვს (Deutsche Bank, ABN AMRO, Citibank და სხვა). დღემდე ბანკის მიერ გახსნილია ასეთი ახალი კონცეფციის 6 ახალი ფილიალი. წლის ბოლომდე საქართველოში ახალი სტანდარტების მქონე 40 ფილიალი იფუნქციონირებს.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B+, stable
- ◆ Moody's: B 3 and Ba 1, stable

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას, 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გაცვდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.

ბათუმის ფილიალი მოემსახურება როგორც კერძო პირებს, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კომერციული კომპანიებს და შესთავაზებს მათ სრულ საბანკო მომსახურებას. ახალი ფილიალის კლიენტები მიიღებენ საქართველოს საბანკო სივრცეში არსებულისგან სრულიად განსხვავებულ ინოვაციურ სერვისს, რომელიც შემდეგი სიახლეებით გამოიხატება:

- **ბარიერების მოხსნა** – თიბისი ბანკის ახალ ფილიალებში აღარ იქნება შესასვლელი უსაფრთხოების კაფსულები, ასევე შუშები კლიენტსა და თანამშრომელს შორის.
- **გადაწყვეტილებების ერთობლივი მიღება** – კლიენტსა და თანამშრომელს საშუალება ექნებათ ერთად უყურონ კომპიუტერის ეკრანს და ერთობლივად მიიღონ გადაწყვეტილება ამა თუ იმ მომსახურების შეძენაზე.
- **ტექნოლოგიების გამოყენება** – ტრადიციული სალაროს ნაცვლად ბანკში იქნება საბანკო მანქანები. რაც იმას ნიშნავს, რომ თანხის გატანა და შეტანა მოხდება ერთ ადამიანთან, რომელიც თანხის შეტანა-გატანას ამ მანქანების დახმარებით ახორციელებს.
- **სერვის ადმინისტრატორი** – დახვდება ყველა კლიენტს, დააკვალიანებს, ასწავლის ბანკომატის მოხმარებას და უპასუხებს კლიენტის მიერ დასმულ შეკითხვებს
- **საბაზუმო კუთხე** – ყველა ფილიალში იქნება ადგილი ბავშვებისთვის
- **ვიპ ოთახი** – ვიპ კლიენტებისთვის ყველა საშუალო და დიდ ფილიალში იქნება სპეციალური ოთახი, რომელშიც ასეთი კლიენტები ექსკლუზიურ მომსახურებას მიიღებენ.
- **24 საათიანი ზონა** – კლიენტებს შეეძლებათ ბანკის სერვისით სარგებლობა 24 საათის მანძილზე. კერძოდ ყველა ფილიალის ღობი გახსნილი იქნება 24 საათის განმავლობაში, სადაც კლიენტს დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეეძლება ისარგებლოს საინფორმაციო კიოსკით (ინტერნეტი, სხვადასხვა ინფორმაცია), ტელეფონით (ქოლ ცენტრთან დაკავშირებისათვის) და ბანკომატით.

თიბისი ბანკმა 10 მილიონი აშშ დოლარი მოიზიდა

10 მილიონიანი ფინანსური რესურსის მიღება შესაძლებელი გახდა თიბისი ბანკსა და უნგრეთის უმსხვილეს კომერციული ბანკს OTP Bank (ოტპე ბანკი) შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ეს უკვე მეორე მსხვილი ფინანსური რესურსია, რომელიც OTP Bank-ის მიერ თიბისი ბანკისთვის იქნა გამოყოფილი. 2007 წლის ოქტომბერში თიბისი ბანკმა მისგან 15 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სესხის მიიღო.

თიბისი ბანკისთვის სესხის ათვისების მიზნობრიობა შეზღუდული არ არის და მოხმარდება ძირითადი კორპორაციული მიზნების განხორციელებას. ამ რესურსით თიბისი ბანკს შეუძლია დააფინანსოს ნებისმიერი პროექტი, საბანკო და საფინანსო მომსახურებაზე სწრაფად მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

2008 წლის დასაწყისიდან თიბისი ბანკმა უკვე 142 მილიონი აშშ დოლარი მოიზიდა დასავლეთის კაპიტალის ბაზრიდან, ხოლო აპრილის ბოლოსთვის ამ თანხას კიდევ 50 მილიონი აშშ დოლარი დაემატება. აღნიშნული ინვესტიციები კიდევ ერთხელ მიუთითებს, როგორც დასავლეთ და ცენტრალური ევროპის წამყვანი ბანკების მიერ თიბისი ბანკისადმი გამოცხადებულ ნდობაზე, ასევე თიბისი ბანკის სტაბილურობასა და მსოფლიოს წამყვან საფინანსო ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობის პოლიტიკის წარმატებულ განვითარებაზე.

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას, 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.